ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 22 0000844989

26/07/2022

შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ბინულის ავტ ორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საერო სკოლა ბინულს (ს/კ: 2 02166324) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.
2.შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საერო სკოლა ბინულს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 360- ით.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ივლისის N844752 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული ენა.
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა